

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს

To the Ministry of Environment Protection and Agriculture of Georgia

სკრინინგის განცხადება

ქ. ფოთში, ზ. ფალიაშვილის N3-ში, შპს „ტრანსიბერიატრანზიტის“ ტერიტორიაზე იგეგმება დიზელის რეზერვუარის და შესაბამისი გასამართი სადგურის ექსპლუატაცია (ს/კ 04.01.21.037; GPS კოორდინატები X: 42.181885; Y: 41.666149).

სადგური აშენდა დასახლებული პუნქტიდან 60 მეტრის დაშორებით, ხოლო ზღვის სანაპიროდან 2.1 კმ-ით. ობიექტი არ განთავსებულია ჭარბტენიან, დაცულ, ტყით მჭიდრო დაფარულ ტერიტორიასთან, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან ან სხვა ობიექტთან.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად შპს „რომპეტროლ საქართველო“ წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასაველეად და ველით თქვენს გადაწყვეტილებას.

მიწის ნაკვეთის ფართობი შეადგენს 25000 მ², მასზე განთავსებულია შენობები, მარიგებელი სვეტების ფარდული, თხევადი საწვავით ტრანსპორტის გამართვისათვის გათვალისწინებული, მოთავსებულია 1 მიწისზედა სტაციონალური რეზერვუარი დიზელის საწვავისთვის.

რეზერვუარების საპროექტო მოცულობა - 5000 მ³; დიზელის

Screening Application

It is planned to operate a diesel station in Poti, Z. Paliashvili N3, on the territory of "TransIberiaTranzit" (Identification Code: 04.01.21.037; GPS coordinates: X: 42.181885; Y: 41.666149).

The filling station was built 60 meters away from the populated settlement and 2.1 km away from the seacoast. The facility is not located near wetlands, protected territories, dense forest areas, cultural heritage sites, or other objects.

In accordance with Article 7, Part 2 of the Law of Georgia "Environmental Assessment Code", Rompetrol Georgia LLC is presenting an application for the screening procedure and waiting for the decision to be made by you.

The area of the land plot is 25000 m², the buildings, a shed for fuel dispensers, intended for refueling vehicles with liquid fuel were placed on it, 1 stationary reservoir for diesel.

Design volume of reservoirs - 5000 m³;
Diesel fuel reservoir 1 piece, volume: 5000 m³;

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს
"10" 05 2023
N 4149

საწვავის რეზერვუარი 1 ც, მოცულობა: 5000 მ³;

რეზერვუარებზე მოწყობილი სასუნთქი სარქველების სიმაღლე: h – 1,5 მ. დიამეტრი: D – 50 მმ.

სადგური გათვალისწინებულია დიზელის ჩასხმისთვის კომპანიის კუთვლილ ტრანსპორტში.

სადგურზე რეალიზაციისათვის საწვავის მიღება ხდება ავტოცისტერნებით და გადაიტანება ზემოთაღნიშნულ მიწისზედა რეზერვუარებში, საიდანაც ტექნოლოგიური მილსადენით მიეწოდება მარიგებელ სვეტებს, საიდანაც ხდება ტრანსპორტის საწვავით გამართვა.

დიზელი მარიგებელი სვეტები - 1 ც.

ტრანსპორტში ჩასასხმელი პისტოლეტები - 1 ც, დიზელისთვის.

ობიექტისთვის დაგეგმილი (საპროექტო), წლიური რეალიზაცია შეადგენს:

დიზელი - 60 000 ლ.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ადგილი აქვს საწარმოს ძირითად უბნებზე მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ გაფრქვევას ატმოსფეროში, რომლის შესახებ დოკუმენტი „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონალური წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის 5 წლიანი ტექნიკური ანგარიში“ შესათანხმებლად წარედგინება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

Height of pressure and vacuum valves installed on reservoirs: h – 1.5 m. Diameter: D – 50 mm.

The filling station is intended for filling company's transport with diesel.

The fuel for sale at the filling station is supplied by the company's fuel trucks and then transferred to the above-mentioned reservoirs, from where it is supplied through a technological pipeline to fuel dispensers, from where the transport is refueled.

Fuel dispensers for diesel fuel - 1 piece. Pump nozzles for refueling vehicles - 1 pieces., of which:

- 1 piece – diesel.

The planned (design) annual sales for the filling station amounts to:

Diesel – 60 000 l.

Based on the specifics of the activity, generation of harmful substances in the main areas of the facility and their emission into the ambient air take place, about which the document "Five-year technical report of the inventory of stationary sources of ambient air pollution and of harmful substances emitted by them" is submitted to the Department of Environmental Assessment of the Ministry of Environment and Agriculture of Georgia for approval.

გარემოსდაცვითი შეფასების
დეპარტამენტს.

წარმოქმნილ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს: ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადები. მათი წარმოქმნის მაქსიმალური ინტენსივობა ფიქსირდება ავტოცისტერნებიდან მიწისზედა რეზერვუარებში ნავთობპროდუქტების მიღებისას და ტრანსპორტში საწვავის გაცემისას.

დიზელის საწვავის წლიური სავარაუდო რეალიზაცია შეადგენს 60 000 ლ/წ.

დიზელის შემთხვევაში მავნე ნივთიერებათა ემისია გამოითვლება შემდეგი ფორმულებით:

$$M = V_1 \cdot C_{\text{საშ}} \text{ (გ/წმ)}$$

$$G = V_1 \cdot C_{\text{საშ}} \cdot T \cdot 3600/10^6 \text{ (ტ/კვარტალი ან წელი)}$$

$C_{\text{საშ}}$ - მავნე ნივთიერებათა საშუალო კონცენტრაცია აირჰაერმტვრნარევაში, გ/მ³;

T - მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროს მუშაობის დრო, სთ, კვარტალი ან წელი.

წლიური ემისია - 60000 ლ/წელ * 0.0025 გ/ლ * 10⁻⁶ = 0.00125 ტ/წ. სადგურის მუშაობის რეჟიმი (24 სთ/დღ წლის განმავლობაში) გათვალისწინებით წამური ემისია იქნება: დიზელისთვის - 0.00475 ტ/წ

10⁶/365დღ/24სთ/3600წმ=0.0001506 გ/წმ.
წლიური ემისია - 60 000 ლ/წელ * 1,4 გ/ლ * 10⁻⁶ = 0.84ტ/წ

სადგურის ფუნქციონირებისათვის საჭირო წყალაღება და წყალარინება

Harmful substances produced are:

Hydrocarbons of petroleum products. The maximum intensity of their formation is observed when receiving petroleum products from fuel trucks into underground reservoirs and when refueling vehicles.

Estimated annual realisation volume of diesel fuel is 60 000 l/year).

In the case of diesel, the emission of harmful substances is calculated using the following formulas:

$$M = V_1 \cdot C_{\text{average}} \text{ (g/s)}$$

$$G = V_1 \cdot C_{\text{average}} \cdot T \cdot 3600/10^6 \text{ (t/quarter or year)}$$

C_{average} - is the average concentration of harmful substances in the dust and gas-air mixture, g/m³;

T - is the working time of the source of emission of harmful substances, hour/quarter or year.

Annual emission - 60 000 l/year * 0.0025 g/l * 10⁻⁶ = 0.00125 t/year

Taking into account the operation mode of the filling station (24 hours/day during a year), the emission in a second will be: for diesel -

0.00475 t/year * 10⁶/365 days/24 hours/3600 seconds = 0.84 t/y.

The water intake and drainage necessary for the operation of the filling station is carried out

განხორციელდება ადგილობრივი წყალმომარაგებელი კომპანიის (გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია) მიერ.

ობიექტის ფუნქციონირების დროს წარმოიქმნება სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყალი. წყალარინებას და საყოფაცხოვრებო წყალჩაშვებას უზრუნველყოფს სადგურზე მოწყობილი წყალარინების სისტემა. წყლის ჩადინება მოხდება ქალაქის საკანალიზაციო სისტემაში.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ხმაურის დონის გავრცელება და გადაჭარბება არ არის მოსალოდნელი. ობიექტზე არ მიმდინარეობს ისეთი საქმიანობა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ხმაურის დადგენილი ნორმების დარღვევა.

ობიექტზე დასაქმებულია ადგილობრივი მოსახლეობა, რის გამოც დემოგრაფიული ცვლილება მოსალოდნელი არ არის. ობიექტის პერსონალის მაქსიმალური რაოდენობა არის 20 ადამიანი. ობიექტი ფუნქციონირებს 365 დღე წლის მანძილზე და 24 საათი დღის მანძილზე.

აღნიშნული ობიექტის საქმიანობა დადებით გავლენას ახდენს ქალაქის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე.

ობიექტის მიწის სამუშაოების წარმოების პროცესში, არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი არ დაფიქსირებულა. ობიექტის მშენებლობისას რაიმე სახის ბუნებრივი რესურსების გამოყენებას

by the local water supply company.

During the operation of the facility, service water and graywater are generated. Drainage and discharge of service water and graywater is provided by a drainage system installed at the filling station. The water will be discharged into the city sewer.

Due to the specifics of the activity, the emission and excess of the noise level is not expected. There is no activity on the site that may cause violation of established noise norms.

The filling station employs the local population, so no demographic changes are expected. The maximum number of personnel of the facility is 20 people. The filling station is open 365 days a year and 24 hours a day.

The activity of this facility has a positive impact on the socio-economic environment of the city.

During the earthworks of the facility, no archaeological or cultural heritage monuments were discovered. No natural resources were used during the construction of the filling station.

ადგილი არ ჰქონია.

ობიექტის მუშაობის დროს არსებობს საწვავის დაღვრის რისკი, რასაც შესაძლოა სდევდეს ნიადაგის ან/და გრუნტის წყლების დაბინძურება. ჩატარებულია რისკების წინასწარი შეფასება და ინციდენტის მაქსიმალური პრევენცია. ობიექტზე უსაფრთხოების მიზნით განთავსებულია დაღვრის აღჭურვილობა. ეს არის აბსორბენტები ან/და ქვიშა, რომელიც გამოიყენება საჭიროებისამებრ.

ობიექტზე ნავთობით დაბინძურებული წყლის წარმოქმნას ადგილი არ ჰქონია, თუმცა მისი წარმოქმნის რისკი არსებობს. იმ მიზნით, რომ არ მოხდეს გარემოზე ზიანის მიყენება, იგეგმება ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული წყლის გამწმენდი დანადგარის მოწყობა. არხების მეშვეობით დაბინძურებული წყლის ჩადინება მოხდება (მცირე დაღვრის შედეგად) აღნიშნულ დანადგარში, რომელიც მოახდენს მის გაწმენდას. შედეგად, გამოყოფილი იქნება ტექნიკური წყალი და მყარი/თხევადი სახიფათო ნარჩენები. დაბინძურებული ნავთობიანი შლამისგან დანადგარის გაწმენდა მოხდება პერიოდულად, ლიცენზირებული კომპანიის მიერ.

ობიექტის ფუნქციონირების შედეგად წარმოქმნილი, მავნე ნივთიერებების ემისიების გავლენას საწარმოს განლაგების ზონის გრუნტის წყლებზე და ნიადაგზე პრაქტიკულად

During the operation of the station there is a risk of fuel spillage, which may lead to soil and/or groundwater contamination. A preliminary assessment of risks and maximum prevention of the incident has been carried out. Spillage equipment is placed on site for safety. These are absorbents and/or sand on the site, which are to be used as needed.

At the facility, oil-contaminated water generation did not occur, although there is a risk of its occurrence. In order not to harm the environment, it is planned to set up a water treatment unit to clean water contaminated with petroleum products. Contaminated water will flow through the channels (as a result of a small-scale spill) into the mentioned unit, which will clean it. As a result, technical water and solid/liquid hazardous waste will be separated. The unit will be periodically cleaned from contaminated oil sludge by a licensed company.

The influence of emissions of harmful substances produced as a result of the operation of the filling station on the ground water and soil of the area where the facility is located is

ადგილი არ აქვს. ამას განაპირობებს ის გარემოება, რომ საწარმოო ტექნოლოგიური პროცესების ყველა ციკლის ფუნქციონირება რეალიზაცია, არ წარმოქმნის გრუნტის წყლების დაბინძურების შესაძლებლობას საწარმოს გარე პერიმეტრზე და შესაბამისად არ არსებობს წინაპირობა გრუნტის წყლების და ნიადაგის დაბინძურების წარმოქმნის მიმართულებით, რადგან საწარმოო პროცესი მიმდინარეობს ტერიტორიაზე, სადაც ნარჩენების დამუშავების უბნები მობეტონებულია.

ობიექტის ექსპლუატაციისას შესაძლოა წარმოიქმნას სახიფათო ნარჩენი, როგორცაა ნავთობით დაბინძურებული ქვიშა, ტანისამოსი, აბსორბენტი და სხვა ნარჩენი. ხდება მათი შენახვა სპეციალურ კასრში და შემდგომში

დამუშავების/განადგურების მიზნით ინსინერაციის გზით გადაეცემა გარემოსდაცვითი

გადაწყვეტილების/ნებართვის მქონე კომპანიას. ნარჩენების მართვა ხორციელდება შესაბამისი კოდექსის მიხედვით. ნარჩენების მართვის გეგმაში გათვალისწინებულია აღნიშნული ობიექტი.

ნავთობით დაბინძურებული ქვიშის ან ნიადაგის ფენის წარმოქმნის შემთხვევაში, აღნიშნული ნარჩენი გადაეცემა კომპანიას, რომელსაც მოცემული ნარჩენი ბიორემედიაციისათვის მიღებული აქვს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება/ ნებართვა.

practically non-existent. This is due to the fact that the operation and implementation of all cycles of production and technological processes do not create the possibility for contamination of ground water on the outer perimeter of the facility, and therefore there is no prerequisite for ground water and soil contamination, because the production process takes place in the area where the waste treatment areas are covered with concrete.

Hazardous waste such as oil-contaminated sand, clothing, absorbent, and other waste may be generated during service station operation. They are stored in a special barrel and then handed over to a company with an environmental decision/permit for treatment/utilization through incineration. Waste management is carried out according to the relevant code. The mentioned facility is included in the waste management plan.

In case oil-contaminated sand or soil layer is produced, the said waste will be handed over to the company that has received an environmental decision/permit for bioremediation of the given waste.

ნავთობით დაბინძურებული წყლის შემთხვევაში ნარჩენი გადაეცემა კომპანიას, რომელსაც აქვს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება/ ნებართვა მოცემული ნარჩენის დამუშავების (სეპარირების/ინსინერაციის).

ნავთობით დაბინძურებული წყლის წარმოქმნა ხდება საწვავის რეზერვუარების გარეცხვისას, რის შესახებაც წინასწარ ეცნობება შესაბამისი ლიცენზიის მქონე კომპანიას ნარჩენების წარმოშობის თაობაზე.

რაც შეეხება ნიადაგის ნაყოფიერ ფენას, აღნიშნული ტერიტორია იყო ძლიერ მოდიფიცირებული ანთროპოგენული ზემოქმედებისგან, შესაბამისად ნაყოფიერი ნიადაგის ფენის მოხსნა არ მომხდარა. სხვა შემთხვევაში მოხდებოდა რეკულტივაციის გეგმის შედგენა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.

სადგურის ექსპლუატაციისას სარემონტო სამუშაოების ჩატარების შემთხვევაში, წარმოქმნილი სამშენებლო ნარჩენის გატანა განხორციელდება კანონმდებლობის სრული დაცვით, მისი გადაცემა მოხდება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება/ ნებართვის მქონე შესაბამის ორგანიზაციაზე. მუნიციპალური ნარჩენის გატანა ხდება შესაბამისი მუნიციპალური სამსახურის მიერ, გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

In case of oil-contaminated water, the waste will be transferred to a company that has an environmental decision/permit for the treatment (separation/incineration) of this waste. Oil-contaminated water is produced during the washing of fuel reservoirs, which is reported in advance to the company with the relevant license that such waste is going to be produced.

As for the fertile soil layer, the mentioned area was heavily modified by anthropogenic influence; therefore, the fertile soil layer had not been removed. Otherwise, a reclamation plan would have been drawn up and measures provided by the legislation would have been carried out.

In case of repair work during the operation of the station, the produced construction waste will be removed in full compliance with the legislation; it will be handed over to the relevant organization with an environmental decision/permit. The disposal of municipal waste is carried out by the relevant municipal service, based on the contract signed with them. Waste is collected in special containers, following the principle of waste separation.


ნარჩენების შეგროვება ხდება სპეციალურ კონტეინერებში, სეპარირების პრინციპის დაცვით.

სახანძრო უსაფრთხოების მიზნით, სადგური უზრუნველყოფილია სახანძრო ინვენტარით და საჭირო რაოდენობის პირველადი ქრობის საშუალებებით (ცეცხლმაქრებით). დამატებით მოწყობილია ხანძრის აღმომჩენი სახანძრო სიგნალიზაციები, რომელიც ექვემდებარება პერიოდულ შემოწმებას.

აღნიშნული ობიექტი თავისი ზომიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, არ ახდენს ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ობიექტის უარყოფითი გავლენა გარემოზე დაბალია, შესაბამისად კუმულაციური ზემოქმედებაც მინიმალურია.

პატივისცემით,
გენერალური დირექტორი
ტლევ მაულეშევი



ფინანსური დირექტორი
მალიკ ტულეკოვი



For fire safety purposes, the filling station is provided with fire-fighting equipment and the necessary number of primary extinguishing means (fire extinguishers). In addition, there are fire alarms to detect fire, which are subject to periodic inspection.

Due to its size and specificity, the said facility does not have transboundary impact.

Based on the above, the negative impact of the facility on the environment is low; therefore, the cumulative impact is also minimal.

Sincerely,
General Manager
Tlek Mauleshev



Finance Director
Malik Tulekov



Reviewed by legal team:

